

၉၈၈၅၅

სტივენ კინგი

ბნელი კოშკი
სამის გამორჩევა

სტივენ კინგი
სამის გამორჩევა
ბნელი კოშკი 2

Stephen King
THE DRAWING OF THE THREE
THE DARK TOWER 2

მთარგმნელი ნინო შეყილაძე
რედაქტორი ლალი ბაქრაძე

გარეკანის დიზაინერი ბესიკ დანელია
დიზაინერი ნინო გურული

© Stephen King, 1987, 2003
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2015
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-488-5
www.diogene.ge

ედღვნება დონ გრანტს, რომელმაც
გარისკა და ერთიმეორის მიყოლებით
დაბეჭდა ეს მოთხრობები.

სარჩევი

ავტორის წინასიტყვაობა	9
პროლოგი. მიუღვაური	15
პატიმარი	25
1 კარი	27
2 ედი დინი	45
3 კონტაქტი და დაფრენა	69
4 კოშკი	105
5 სისხლიანი შეტაკება	155
პარტის აჭრა	201
ჩრდილების ქაღალდები	231
1 დეტა და ოდეტა	233
2 ცვლილებათა უამი	266
3 ოდეტა მეორე მხარეს	283
4 დეტა მეორე მხარეს	310
მეორე აჭრა	351
ხელის მკვრელი	395
1 მწარე წამალი	397
2 ქილა თაფლი	413
3 როლანდი წამალს იღებს	429
4 გამორჩევა	471
საბოლოო აჭრა	497
ბოლოსიტყვაობა	509

ავტორის წინასიტყვაობა

„სამის გამორჩევა“ ძალიან გრძელი ამბის, სახელად „ბნელი კოშკის“, მეორე ტომია. ეს წიგნი, შეიძლება ითქვას, ერთგვარი გამოძახილია რობერტ ბრაუნინგის პოემისა „ჩაილდ როლანდი ბნელ კოშკს მიადგა“ (რომელიც, თავის მხრივ... „მეფე ლირს“ „დაესესხა“) და გარკვეულად ეყრდნობა კიდევ მას.

პირველი ტომი, „მსროლელი“, მოგვითხრობს „ადგილიდან დაძრული“ სამყაროს უკანასკნელი მსროლელის, როლანდის შესახებ. ბოლოს ის შეიპყრობს შავსამოსიან კაცს... ჯადოქარს, რომელსაც ძალიან დიდხანს დასდევდა, თუმცა ზუსტად რამდენ ხანს, ეს ჯერ არ ვიცით. შავსამოსიანი კაცი აღმოჩნდება ვინმე უოლტერი, რომელმაც სამყაროს ადგილიდან დაძვრამდე რაღაც ხრიკებით როლანდის მამასთან დამეგობრება მოახერხა.

როლანდის საბოლოო მიზანი ამ ნახევრად ადამიანის შეპყრობა კი არა, ბნელი კოშკის პოვნაა; შავსამოსიანი კაცი – უფრო სწორად, ის, რაც შავსამოსიანმა კაცმა იცის – როლანდისთვის მხოლოდ პირველი ნაბიჯია ამ საიდუმლოებით მოცული ადგილისკენ მიმავალ გზაზე.

მინც ვინ არის როლანდი? როგორი იყო მისი სამყარო, სანამ „ადგილიდან დაიძვრებოდა“? რა არის კოშკი და რატომ ისწრაფვის იგი მისკენ? ამ კითხვებზე მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტი პასუხები გვაქვს. როლანდი მსროლელია, ერთგვარი რაინდი, ერთ-ერთი იმათგანი, ვინც სამყაროს (როლანდს ის „სიყვარულითა და სინათლით აღსავსე“ ახსოვს) ადგილიდან დაძვრა არ უნდა დაუშვას.

ჩვენ ვიცით, რომ როლანდი გარკვეულმა გარემოებამ აიძულა, დროზე ადრე ჩაებარებინა კაცობის გამოცდა. ის გაიგებს, რომ დედამისი მარტენის, უოლტერზე (რომელიც, როლანდის მამისგან ფარულად, მარტენის მოკავშირეა) ბევრად საშიში ჯადოქრის, საყვარელია; ისიც ვიცით, რომ მარტენმა ყველაფერი განზრახ მოაწყოს ისე, რომ როლანდს ეს ამბავი გაეგო, იმ იმედით, ბიჭი გამოცდას ვერ გაუძლებს და „დასავლეთში განიდევნებაო“. ჩვენ ისიც ვიცით, რომ როლანდმა ეს გამოცდა დიდი წარმატებით ჩააბარა.

კიდევ რა ვიცით? ის, რომ მსროლელის სამყარო რაღაცით ძალიან ჰგავს ჩვენსას. მასში ისეთი არტიფაქტები გვხვდება, როგორებიცაა ავტოგასამართი სადგურები, სიმღერები (თუნდაც, „Hey Jude“ ან ერთი უხეირო ლექსის ნაწყვეტი, რომელიც იწყება სიტყვებით: „ლობიო მუსიკალური საქმელია...“), ასევე სხვა ტრადიციები და რიტუალები, რომლებიც ძალიან მოგვაგონებს ჩვენს გარკვეულად გარომანტიკულულ წარმოდგენას ველურ დასავლეთზე.

და კიდევ არის რაღაც ჭიბლარის მაგვარი, რაც ჩვენს სამყაროს მსროლელის სამყაროსთან აკავშირებს. თვალუწვდენელ, უნაყოფო უდაბნოში, დიდი ხნის წინ მიტოვებულ საფოსტო სადგურზე როლანდი ჩვენს სამყაროში გარდაცვლილ ბიჭს, ჯეიკს, გადაეყრება. სინამდვილეში ბიჭი მოკლეს. მას ყოვლადმსუფევემა (და ულმო-ბელმა) შავსამოსიანმა კაცმა ტროტუარზე ხელი ჰკრა და მანაქანების სავალ გზაზე გადააგდო. ამ დროს ბიჭი, ცალ ხელში წიგნებით სავსე ჩანთით და მეორეში საუზმის ყუთით, სკოლისკენ მიაბიჯებდა. უკანასკნელი, რაც ჯეიკს ჩვენი სამყაროდან დაამახსოვრდა, „კადილაკის“ ვეებერთელა ბორბლები იყო.

როლანდისა და შავსამოსიანი კაცის უკანასკნელ შეხვედრამდე ჯეიკი კვლავ კვდება... ამჯერად იმიტომ, რომ თავის ცხოვრებაში მეორე და ყველაზე საშინელი არჩევანის წინაშე მდგომი როლანდი იძულებული ხდება, განიროს ბიჭი, რომელიც მისივე თქმით, შვილივით შეუყვარდა. როდესაც როლანდს კოშკსა და ბავშვს, ხსნასა და წყევლას შორის არჩევანი უდგება, იგი კოშკს ირჩევს.

„მაშ, ნადი, – ეუბნება მას ჯეიკი უფსკრულში გადაშვებამდე. – ამის გარდა, სხვა სამყაროებიც არსებობს.“

მსროლელისა და უოლტერის საბოლოო შეტაკების ადგილი ძვლებით მოფენილი, მტვრიანი გოლგოთაა. შავსამოსიანი კაცი მსროლელს ტაროს კარტებით მომავალს უწინასწარმეტყველებს. კარტში ამოდის: კაცი, სახელად „პატიმარი“; ქალი, სახელად „ჩრდილების ქალბატონი“ და ბნელი სილუეტი, რომელიც, უბრალოდ, „სიკვდილია“ („ოღონდ შენი არა, მსროლელი“, – ეუბნება მას შავსამოსიანი კაცი). ეს ტომი სწორედ ამ წინასწარმეტყველების ახდენაზე მოგვითხრობს... როლანდის მეორე ნაბიჯზე კოშკის ძიების რთულსა და გრძელ გზაზე.

„მსროლელის“ დასასრულს როლანდი დასავლეთის ზღვის სანაპიროზე ზის და ჩამავალ მზეს გასცქერის. შავსამოსიანი კაცი მკვდარია, მსროლელის მომავალი კი – ბუნდოვანი; „სამის გამორჩევა“ ზუსტად იმავე სანაპიროზე იწყება მოგვიანებით, დაახლოებით შვიდი საათის მერე.

განახლება

კ რ ი ს ტ ი კ ი
მ ე ზ ე ვ ა უ რ ი

მსროლელი უცნაურმა სიზმარმა გამოაღვიძა, რომლიდანაც მხოლოდ ერთი რამ დაამახსოვრდა: ტაროს კარტით, რომელზეც მეზღვაური იყო გამოსახული, შავსამოსიანი კაცი ავბედით მომავალს უწინასწარმეტყველებდა (ან, უბრალოდ, თავს ისე აჩვენებდა, ვითომ უწინასწარმეტყველებდა).

„ის იხრჩობა, მსროლელი, – ეუბნებოდა შავსამოსიანი კაცი, – მაგრამ საშველად ბაგირს არავინ გადაუგდებს. ეს პატარა ჯეიკია“.

მაგრამ ეს კომმარი კი არა, კარგი სიზმარი იყო: სიზმარში თვითონ იხრჩობოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ის როლანდი კი არა, ჯეიკი იყო. ენით აუწერელი შვება იგრძნო, რადგან ერჩივნა, ჯეიკი ყოფილიყო და დამხრჩვალყო, ვიდრე ეცოცხლა, როგორც კაცს, რომელმაც რალაც სულელური ოცნების გამო მასზე ასე მონდობილ ბავშვს უღალატა.

„კარგი, ძალიან კარგი, დავიხრჩობი, – გაიფიქრა და ზღვის ღმუილს მიაყურადა, – დაე, დავიხრჩო“. მაგრამ ეს ხმაური სულაც არ ჰგავდა ზღვის უძირო წიაღში შობილს; ეს უფრო იმ ტალღების შხრიალს მოგაგონებდათ, სანაპიროს ქვევს რომ ეხლებიან თავგამეტებით. ნუთუ ის მეზღვაური თვითონაა? თუ ასეა, მაშინ ხმელეთი რატომაა ასე ახლოს? და, საერთოდ, განა ხმელეთზე არ იყო? ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს...

ყინულივით ცივ წყალს მსროლელის მაღალი ჩექმები დაეფარა და საზარდულამდე მიეღწია. თვალები სწრაფად გაახილა. ცივმა წყალმა მთლად გაუყინა და შეუკუმშა კვერცხები, მაგრამ ამას არ გამოუფხიზლებია; არც იმ შემადრწუნებელ საფრთხეს, რომელიც აშკარად იგრძნობოდა მარჯვენა მხრიდან. რევოლვერებზე ფიქრმა გამოაფხიზლა... რევოლვერებზე და კიდევ უფრო მნიშვნელოვანზე – ვაზნებზე. სველი რევოლვერების სწრაფად დაშლა, გამშრალება, დაზეთვა, ხელახლა გამშრალება, ისევ დაზეთვა და აწყობა შეიძლება. სველი ვაზნები კი, ასანთის სველი ღერების არ იყოს, ან გამოდგება, ან არა.

შემადრწუნებელი საფრთხე რალაც მხოხავი არსება იყო, რომელიც, ალბათ, ტალღამ ამოაგდო ნაპირზე. სველ, ბრჭყვიალა სხეულს ქვიშაზე ძლივს მოათრევდა. სიგრძით მეტრ-ნახევრამდე იქნებოდა და მსროლელისგან დაახლოებით ოთხი მეტრი აშორებდა. არსება როლანდს ცივი, ღერძებზე მოძრავი თვალებით შეამტერდა. შემდეგ გრძელი, ხერხისებრი ნისკარტი გაალო და უცნაური ბგერები გამოსცა, რაც ძალიან ჰგავდა ადამიანის მეტყველებას – შესაბრალისი, თითქოს სასონარკვეთილი ხმით დასმულ კითხვებს უცნობ ენაზე: *დიდ-ა-ჩიქ? დუმ-ა-ჩუმ? დად-ა-ჩამ? დედ-ა-ჩექ?*

მსროლელს კიბორჩხალები ენახა. ეს არსება კიბორჩხალა არ იყო, მაგრამ მისთვის ცნობილი უცნაური ქმნილებებიდან მხოლოდ იმას თუ შეადარებდა. თან ჩანდა, რომ ამ საოცრებას მსროლელის საერთოდ არ ეშინოდა. მას კი წარმოდგენაც არ ჰქონდა, ეს არსება საშიში იყო თუ არა. მსროლელს სულ არ ადარდებდა, რომ ვერ იხსენებდა, სად იყო, აქ როგორ მოხვდა, შავსამოსიანი კაცი მართლა შეიპყრო თუ არა და, საერთოდ, სიზმარი ხომ არ იყო ეს ყველაფერი. მან მხოლოდ ის იცოდა, რომ წყალს მანამდე უნდა გასცლოდა, სანამ ვაზნები დაუსველდებოდა.

უეცრად ზღვიდან შემადრწუნებელი, თანდათან მზარდი ხმაური შემოესმა. მსროლელმა სწრაფად აქცია ზურგი კიბორჩხალის მსგავს არსებას, რომელსაც მარწუხები მაღლა აეშვირა და საბრძოლველად მომზადებული მოკრივის პოზაში ერთ ადგილზე გაქ-

ვავებულიყო (როგორც კორტი ასწავლიდათ, ამას „ღირსების პო-ზა“ ერქვა), და მზერა უზარმაზარ, თითქმის ნაპირამდე მოღწეულ ტალღაზე გადაიტანა.

„ტალღების ხმა ესმის, – გაიფიქრა მსროლელმა. – ამ ქმნილე-ბას, რაც უნდა იყოს ის, ყურები ნამდვილად აქვს“. – ნამოდგომა სცადა, მაგრამ ფეხები დაბუყებოდა და იქვე ჩაიკეცა.

„ჯერ ისევ სიზმარში ვარ“, – გაუელვა თავში, მაგრამ ასე გო-ნებადაბინდულიც კი ხვდებოდა, რომ მას, უბრალოდ, ძალიან უნ-დოდა, ეს სიზმარი ყოფილიყო... ხელახლა სცადა ნამოდგომა, შეძ-ლო კიდეც, მაგრამ ისევ დაეცა. ტალღა ახლოვდებოდა. დრო აღარ ითმენდა – მარჯვნივ მყოფი არსების მსგავსად, მასაც ხოხვით უნ-და დაეღწია თავი ტალღისაგან. როლანდი ხელებს დაეყრდნო და სანაპიროს ქვიანი ნაწილისკენ გახობდა.

თუმცა ისე შორს გახობება მაინც ვერ მოასწრო, რომ ტალღას მთლად გარიდებოდა. წყალმა ჩექმები დაუსველა. თითქმის მუხლე-ბამდე შესწვდა კიდეც, მაგრამ მერე ისევ უკან დაიხია. – „შეიძლე-ბა, არც პირველი იყო იმხელა, როგორც მომეჩვენა. იქნებ...“

ნამგალა მთვარე მსუბუქ ნისლში გახვეულიყო, მაგრამ მისი შუქი მაინც კმაროდა იმის დასანახად, რომ რევოლვერების ბუ-დეები დასველებულიყო. – „კიდეც კარგი, მხოლოდ რევოლვერები დასველდა“, – გაიფიქრა მან. თუმცა ჯერ ზუსტად არ იცოდა, დას-ველდა თუ არა ვაზნები რევოლვერების ბარაბნებში, ან რა ბედი ენია სავაზნე სარტყელში ჩანყობილ ვაზნებს. ამის შესამოწმებლად ჯერ წყალს უნდა მოშორებოდა. უნდა...

დოდ-ა-ჩოქ?

ხმა ამჯერად სულ ახლოდან მოესმა. ტალღების შიშით მსრო-ლელს ნაპირზე მხოხავი არსება მთლად გადავიწყებოდა. მიიხედა და დაინახა, რომ მისგან მხოლოდ მეტრ-ნახევარილა აშორებდა. არსებას მარწუხები კენჭებიან და ნიჟარებიან ქვიშაში ჩაერჭო, ხორციანი დაკბილული სხეული მალლა აეზიდა და მსროლელს ნელ-ნელა უახლოვდებოდა. ახლა მსროლელმა ის მორიელს მიაშვანა, თუმცა მის კუდზე შხამიანი ნესტარი არ ჩანდა.

ისევ გაისმა ზღვის შემადრწუნებელი ღრიალი. არსებამ მოძრაობა შეწყვიტა და კვლავ „ღირსების პოზას“ დაუბრუნდა.

ეს ტალღა უფრო დიდი იყო. როლანდმა ნაპირის დამრეც ფერდობზე ახოხება გააგრძელა და მოულოდნელად მარწუხებიანი არსებაც წარმოუდგენელი სიჩქარით ამოძრავდა, რასაც მისი შემხედვარე ვერაფრით წარმოიდგენდით.

უეცრად მსროლელმა მარჯვენა ხელში მწვავე ტკივილი იგრძნო, მაგრამ ახლა ამაზე ფიქრის დრო არ ჰქონდა. სველი ჩექმების ქუსლებს დაანვა, ქვებს მოებლაუჭა და მორიგ ტალღას თავი გაჭირვებით დააღწია.

დიდ-ა-ჩიქ? – ისეთი შესაბრალისი ხმით იკითხა საშინელმა არსებამ, თითქოს ევედრებოდა: „არ დამეხმარები? ვერ ხედავ, რა დღეში ვარ?“ და როლანდმა დაინახა, როგორ გაუჩინარდა მისი მარჯვენა ხელის საჩვენებელი და შუა თითები არსების ხერხივით ნისკარტში. რომ არ ემარჯვა და ხელი დროზე არ გამოეტაცა, დაწარჩენ თითებსაც დაკარგავდა.

დუმ-ა-ჩუმ? დად-ა-ჩამ?

მსროლელი ბარბაცით წამოდგა. არსებას მისი სველი ჯინსის შარვლის ცალი ტოტი გაეფხრინა, ძველი, მაგრამ რკინასავით მტკიცე ტყავის ჩექმაც გაეგლიჯა და წვივიდან ხორცი ამოეგლიჯა.

მსროლელმა მარჯვენა ხელი იარაღზე იტაცა და როდესაც რევოლვერი ქვიშაზე დავარდა, მაშინლა გაახსენდა, რომ ხელზე ორი თითი აღარ ჰქონდა.

საშინელი არსება რევოლვერს ხარბად დაეძგერა.

– შეეშვი, ნაბიჭვარო! – უღრიალა როლანდმა და წიხლი ჩაარტყა. ეს იგივე იყო, წიხლები კლდისთვის რომ დაეშინა... იმ განსხვავებით, რომ არსება იკბინებოდა. მან ჯერ მარჯვენა ჩექმის ცხვირი მოაგლიჯა და, მასთან ერთად, დიდი თითიც, შემდეგ კი ჩექმა მთლიანად გააძრო. მსროლელი დაიხარა, რევოლვერი აიღო, მაგრამ ისევ დაუვარდა. გაბრაზებულმა ერთი მაგრად შეიკურთხა და რევოლვერის ალება რაღაცნაირად მაინც მოახერხა. ერთ დროს მისთვის ამის გაკეთება არაფერი იყო, მაგრამ მოულოდნელად ყვე-

ლაფერი შეიცვალა, ახლა ეს ისე ძნელი გახდა, როგორც ჟონგლიორობა.

არსება მის ჩექმას გლეჯდა და თან არამინიერ ენაზე ლაპარაკს განაგრძობდა. ნაპირს მორიგი ტალღა მოაწყდა, მთვარის მკრთალ შუქზე ქაფი ნაცრისფრად ჩანდა. კიბოურჩხულმა ჩექმას თავი ანება, მარწუხები ასნია და ისევ მოკრივის პოზაში გაირინდა.

როლანდმა მარცხენა ხელით მეორე რევოლვერი დააძრო და სასხლეტს სამჯერ გამოჰკრა თითი: ტკაც, ტკაც, ტკაც.

ახლა უკვე ზუსტად იცოდა, რომ ბარაბანში ვაზნები დასველებულიყო.

რევოლვერი მარცხენა ბუდეში ადვილად ჩააბრუნა. მარჯვენაში ჩასადებად კი ჯერ მარცხენა ხელით ლულის ქვემოთ დანევა მოუხდა. ხელიდან თქრიალით მოსდიოდა სისხლი, რომელმაც სულ დაუსვარა რევოლვერის ბუდე და ჯინსის შარვალი.

რადგან ფეხებში შეგრძნება ჯერ კიდევ დაკარგული ჰქონდა, დასახიჩრებულ მარჯვენა ტერფზე მოჭმული თითი თავს არ ახსენებდა, მაგრამ მარჯვენა ხელი ცეცხლივით ეწვოდა. მისი მარჯვე და წლობით ნავარჯიშები თითების (რომლებსაც უკვე საშინელი არსების ნაწლავების წვენი ინელებდა) ფანტომები თითქოს გამგმირავად გაჰკიოდნენ, ისევ ჩვენს ადგილას ვართ და ზედ ცეცხლი გვიკიდიაო.

„მგონი, საქმე ცუდადაა“, – გაიფიქრა მსროლელმა.

ტალღამ უკან დაიხია. კიბოურჩხულმა მარწუხები ძირს დაუშვა და მსროლელის ჩექმის გლეჯა გააგრძელა, მაგრამ მალე გადაიფიქრა. როგორც ჩანს, ჩექმის პატრონი უფრო ეგემრიელა, ვიდრე ტყავის ეს ძველი ნაგლეჯი.

დუღ-ა-ჩუმ? – იკითხა და მსროლელისკენ ნარმოუდგენელი სისწრაფით გაქანდა. კაცმა გაჭირვებით დაიხია უკან; მაშინლა მიხვდა, რომ ურჩხული აზროვნებდა: ის ფრთხილად მიეპარა მსროლელს (შეიძლება, სულაც, მიქცევის დროს, როცა წყალი შორს იყო), რადგან არ იცოდა, რა არსებასთან ჰქონდა საქმე და რა შეეძლო მას. ტალღას რომ არ გაეღვიძებინა, ალბათ, სახეს მთლიანად

მოაჭამდა. ახლა კი მან იცოდა, რომ მსროლელი არა მარტო გემრიელი, არამედ დასუსტებულიც იყო – იოლი ნადავლი.

ურჩხული უკვე ძალიან ახლოს იყო, სიგრძით მეტრ-ნახევარი იქნებოდა, სიმაღლით კი – ნახევარი მეტრი. ის, ალბათ, ოცდათხუთმეტ კილოგრამს მაინც იწონიდა და აშკარად მტაცებელივით გამოიყურებოდა. როლანდს დეივიდი გაახსენდა, შევარდენი, რომელიც ბავშვობაში ჰყავდა, თუმცა დეივიდისაგან განსხვავებით, ამ არსებას ერთგულების ნიშანწყალი არ ეტყობოდა.

მსროლელმა მარცხენა ჩექმის ქუსლი ქვიშაში ჩარჭობილ ქვას წამოსდო და კინალამ ნაიქცა.

დოდ-ა-ჩოქ? – თითქოს მზრუნველი ხმით ჰკითხა არსებამ, თვლების პარპალით მიაშტერდა და მარწუხები მისკენ გაიშვირა... მაგრამ ისევ გაისმა ტალღის ხმა და ის კვლავ „ღირსების პოზას“ დაუბრუნდა. თუმცა ამჯერად მარწუხები ოდნავ ირხეოდა და მსროლელი მიხვდა, რომ არსება არა მარტო ტალღების ხმაურზე რეაგირებდა, არამედ მათ სიმძლავრეზეც, რომელიც ახლა ნელ-ნელა იკლებდა.

როლანდმა უკან დაიხია, ქვას გადააბიჯა და როდესაც ნაპირს ახალი ტალღა მოაწყდა ღრიალით, დაიხარა. ამ დროს მისი თავი ისე ახლოს აღმოჩნდა არსების ხერხივით ნისკარტთან, რომ მას თავისუფლად შეეძლო, როლანდისთვის თვალი გამოეთხარა, მაგრამ მარწუხები ნისკარტის ორივე მხარეს ჰაერში ისე გაეშეშებინა, როგორც მოკრივის მუშტები.

მსროლელი იმ ქვას დასწვდა, რომელზეც წაიბორძიკა. ქვიშაში ნახევრად ჩაფლული ქვა დიდი იყო. დასახიჩრებული ხელი საშინლად ეტკინა, როცა ქვიშით დაფარული ქვის ბასრ კიდეებს შეეხო. სიმწრისაგან ქვედა ტუჩი დაიკბინა, მაგრამ ქვიშიდან ქვის ამოღება მაინც შეძლო.

დად-ა... – ისევ ალაპარაკდა არსება, როდესაც ტალღამ უკან დაიხია, და მარწუხების ქნევას მოჰყვა. სწორედ ამ დროს მსროლელმა ზურგში მთელი ძალით ჩასცხო ქვა.

დარტყმამ ურჩხულის დანანევრებული ზურგი დაამსხვრია. საშინელი მტკრევის ხმა სწორედ ამაზე მეტყველებდა, თუმცა ის

მანც გამმაგებით ფართხალებდა, მარწუხებს იქნევედა, კუდს გამწარებით ურტყამდა ქვიშას და ნისკარტით ქვა-ლორღს აკრაჭუნებდა. მისი გაუთავებელი კითხვები აუტანელ ტკივიღს გამოხატავდა.

მორიგი ტაღღის ხმაზე არსებამ ისევ სცადა მარწუხების აწევა. მსროღელმა დრო იხელთა და ჩექმიანი ფეხი თავზე დაადგა. ისეთი ხმა გაისმა, თითქოს, ფიჩხი დაიმტვრაო. მსროღელის ფეხქვემ სქელი შავი ქყაპი გადმოიღვარა და ორივე მხარეს გაეშხეფა. ურჩხულმა სხეული მაღლა ასწია და გააფთრებული აფართხაღდა. მსროღელმა უფრო ძღიერ დააჭირა ფეხი.

ნაპირს ახალი ტაღღა მოასკდა.

არსებამ გაჭირვებით ასწია მარწუხები ერთი-ორი სანტიმეტრით, მერე კიდევ ამდენივეთი, ოდწავ შეარხია და ისევ დახურა, თუმცა დროდადრო ისევ უღლიღა კრუნჩხვა.

მსროღელმა ფეხი აიღო.

ნისკარტი, რომღითაც ურჩხულმა მას თითები მოაჭამა, წელა გაიღო და დაიხურა. ცალი დამსხვრეული მარწუხი იქვე, ქვიშაზე ეგღო, მეორე კი ჯერ ისევ მოძრაობდა.

მსროღელმა კიდევ რამდენჯერმე ჩაარტყა თავში ფეხი.

მერე ქვა გადააგღო, ღრმად ამოისუნთქა და ზურგზე ფეხებით შესდგა. ჯავშანი ჩაუმტვრია და ნაცრისფერ ქვიშაზე გადმოყრღლი შავი შიგწეუღობა გასრისა. არსება უკვე მკვდარი იყო, მაგრამ მსროღელი ვერა და ვერ ჩერდებღდა. მთელი თავისი ხანგრძღივი და უცწაური ცხოვრების მანძიღზე ასე მძიმედ დაჭრიღი არასოღეს ყოფიღა და ამას ვერც წარმოიღვენდა.

მსროღელი ურჩხუღის შიგწეუღობას იქამდღე სრესდა, სანამ ამ აზღელილ მასაში თავისი ერთ-ერთი თითი არ დაინახა. ფრჩხიღქვემ თეთრმა ფხვნიღმა გოღგოთის მტვერი და შავსამოწიან კაცთან ხანგრძღივი, მაგრამ ფუჭი საუბარი გაახსენა. მაშინ კი მიბრუნდა და აღებინა.

მსროღელი მთვრალივით წაბარბაცდა წყღისკენ. დასახიწრებული ხელი მკერდზე მიეკრა და დროდადრო უკან იხედებღდა, ურ-

ჩხული ხომ არ გაცოცხლდაო, როგორც აბეზარი, ჯიუტი კრაზანა, რომელსაც ურტყამ, ურტყამ და იმის მაგივრად, რომ მოკვდეს, დაბორიანებული მაინც განაგრძობს ფრთების ქნევას. სურდა, დარწმუნებულიყო, რომ ეს არამინიერ ენაზე მოლაპარაკე არსება თავისი სასონარკვეთილი ხმითა და კითხვებით უკან აღარ მისდევდა.

შუა გზაზე შეჩერდა, დაბარბაცდა და იმ ადგილს მიაშტერდა, სადაც გამოფხიზლდა. გაახსენდა, რომ ზღვის ნაპირთან ძალიან ახლოს ჩაეძინა. მსროლელი თავის სამგზავრო ტომარას და დახეულ ჩექმას დასწვდა და აიღო.

მთვარის მკრთალ შუქზე მან სხვა ისეთივე არსებებიც შენიშნა. ტალღასა და ტალღას შორის შუალედებში მკაფიოდ ისმოდა მათი კითხვები.

მსროლელმა ფრთხილად, ნაბიჯ-ნაბიჯ დაიხია უკან და სანაპიროს ბალახიან ნაწილზე ავიდა. მიწაზე დაჯდა და რაც შეეძლო, ყველაფერი იღონა სისხლდენის შესაჩერებლად: დარჩენილი თამბაქო ჭრილობებზე დაიყარა, თან ცდილობდა, მწველი ტკივილისათვის ყურადღება არ მიექცია (უკვე ტერფზე მოჭმული თითის ტკივილსაც გრძნობდა). შემდეგ კი კარგა ხანს, უბრალოდ, იჯდა სიცივეში, ოფლად გაღვრილი, და ფიქრობდა, ჭრილობებში ინფექცია ხომ არ შემეჭრაო. თავს ეკითხებოდა, მარჯვენა ხელზე მხოლოდ სამი თითით ამ სამყაროში თავი როგორ უნდა გაიტანო (მართალია, სროლისას ორივე ხელს თანაბრად ხმარობდა, მაგრამ სხვა მხრივ მარჯვენა უფრო სჭირდებოდა). ან იქნებ ურჩხული შხამიანი იყო და ახლა მისი შხამი ორგანიზმში ნელ-ნელა ვრცელდებოდა? ვაითუ მზის ამოსვლამდე ვერც კი მიეღწია.